სადოქტორო კვლევის თეზისის/პროექტის გეგმა

დოქტორანტობის კანდიდატებმა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიმღებ კომისიას წერილობით (როგორც ბეჭდური ისე ელექტრონული სახით) უნდა წარუდგინოს **სადოქტორო კვლევის თეზისი/პროექტი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 7 გვერდს** (ქაღალდი - A4, შრიფტი -12, სტრიქონებს შორის ინტერვალი -1,15; ელექტონული ფაილი - PDF).

სადოქტორო კვლევის პროექტის გეგმა:

1. **კვლევის საგანი და ობიექტი**
2. **საკვლევი თემის აქტუალობა, მიზნები და ამოცანები**
3. **კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, ლიტერატურის მიმოხილვა** (საკითხის კვლევის ისტორია, საკვლევი საკითხის ვითარება თანამედროვე მეცნიერებაში, ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი თემის შესახებ არსებულ ცოდნას)
4. **მეთოდოლოგია**
5. **კვლევის (სავარაუდო) მოსალოდნელი შედეგები**
6. **კვლევის განხორციელების ეტაპები**

- დოქტორანტობის კანდიდატის წარმოდგენილ სადოქტორო კვლევის პროექტს აფასებს დოქტორანტურაში მიმღები კომისია (მაქსიმალური შეფასება - 60 ქულა).
- დოქტორანტობის კანდიდატის სადოქტორო კვლევის პროექტის შეფასება ხდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული კრიტერიუმებით (იხ. **სადოქტორო კვლევის პროექტის შეფასების კრიტერიუმები და შეფასების ფორმა).**
- დოქტორანტობის კანდიდატის დოქტორანტურაში მიმღებ კომისიასთან გასაუბრებაზე დაშვების წინაპირობაა სადოქტორო კვლევის პროექტში დადებითი შეფასების მიღება (31 ქულა და მეტი).
- გასაუბრების მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა (დადებითი შეფასება - 21 ქულა და მეტი).
- გასაუბრების შეფასება ხდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული კრიტერიუმებით (იხ. **დოქტორანტობის კანდიდატის გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები და შეფასების ფორმა)**
- დოქტორანტობის კანდიდატის საბოლოო შეფასება (მაქსიმუმ 100 ქულა) გამოიანგარიშება მიმღებ კომისიასთან გასაუბრებაზე მიღებული დადებითი შეფასებისა და სადოქტორო კვლევის პროექტის დადებითი შეფასების ჯამით.